In order to test efficacy of chemotherapy agent Cisplatin on cancer cells used in our experiments we performed *in vitro* vitality and growth assay. Two different doses of Cisplatin (0.25 and 0.5 μg/mL) were utilized. Cell vitality was determined by the trypan-blue staining

იქნა ჰემატოქსილინ-ეოზინით. სხვადასხვა მოლეკულური მარკერების ექსპრესიის გამოსავლენად გამოყენებული იქნა იმუნოჰისტოქიმიური შეღებვის სტანდარტიზებული მეთოდი, სხვადასხვა ანტისხეულების გამოყენებით. ანგიოგენეზის შესასწავლად გამოყენებული იქნა თაგვის *Anti-CD31* ანტისხეულები; ჰიპოქსიის შესასწავლად - ანტი-კარბო ანჰიდზრაზა 9 ანტისხეულები; მეორეული ანტისხეულებით ინკუბაციის შემდეგ, ცილის სპეციფიკური გამოხატვა დაფიქსირდა პეროქსიდაზას რეაქციით. შედეგების რაოდენობრივი დაზუსტება (ქვანტიფიკაცია) განხორციელდა ImageJ პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. ასევე ჩატარებულ იქნა იმუნოფლუორესცენტული გამოკვლევა ქსოვილში აპოპტოზური უჯრედების დასადგენად. აპოპტოზურ უჯრედებში დნმ-ის ფრაგმენტების 3'-OH დაბოლოებების ვიზუალიზაციისათვის გამოვიყენეთ ტერმინალ დეოქსინუკლეოტიდილ ტრასფერაზა (TdT) გაშუალებული დეოქსიურიდინ ტრიფოსფატ - ბიოტინის (dUTP) მარკირების მეთოდი (TUNEL-ის ექსპერიმენტი) აღწერილი პროტოკოლის მიხედვით

სტატისტიკური ანალიზი

მონაცემების სტატისტიკური დამუშავება მოიცავდა პარამეტრულ და არა პარამეტრულ სტატისტიკურ ანალიზს. ანალიზი ჩატარდა Student's t-test და Mann-Whitney ტესტების გამოყენებით. მონაცემების დამუშავება განხორციელდა კომპიუტერული უზრუნველყოფის პროგრამით GraphPad PrismTM 5 (GraphPad Software). ციფრობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია როგორც საშუალო მაჩვენებელი და საშუალოს

სტანდარტული გადახრა.

კვლევის ეთიკის საკითხები

ექსპერიმენტები ცხოველებზე ჩატარდა ცხოველთა დაცვის კომიტეტის მიერ
დამტკიცებული პროტოკოლით, ლაბორატორიული ცხოველების მოპყრობის საერთაშორისო პრინციპების დაცვით (Workman et al. 2010). ქირურგიული მანიპულაციები ჩატარებულ იქნა ზოგადი გაუტკივარების პირობებში, ასეპტიკისა და ანტისეპტიკის ყველა წესის სრული დაცვით.

კვლევის შედეგები და მათი ანალიზი

პირის ღრუს სქუამოზური კიბოს in vivo მოდელის შედეგები

კიბოს უჯრედების პირის ღრუში ტრანსპლანტაციიდან საშუალოდ 2 კვირის შემდეგ, ცხოველებს ლოყის მიდამოში გამოუვლინდათ მცირე ზომის სიმსივნე, რომელმაც დინამიკაში განიცადა ზომაში მომატება. თაგვების ერთ ნაწილს აღენიშნა სიმსივნის უფრო მეტად დრუნჩის მიმართულებით განვითარება, ხოლო მეორე ნაწილში გამოხატული იყო სიმსივნის ზრდა ზედა ყბის მიმართულებით. უჯრედების ინექციიდან 3 კვირის შემდეგ ყველა ცხოველი გამოყვანილი იქნა ექსპერიმენტიდან. კვლევა თავდაპირველად ჩატარდა ათ ლაბორატორიულ თაგვზე, რომელთაგან რვა ინდივიდს 3 კვირის შემდეგ ვიზუალურად აღენიშნებოდა სიმსივნის არსებობა ლოყის მიდამოში (80%). დარჩენილი ორი თაგვის ორგანიზმში სიმსივნე არ განვითარდა, რაც დადასტურდა გაკვეთის შედეგად.

model established by us. We have used athymic Crl: NU-Foxn1nu (NU/NU) nude mice (Nu/Nu Nude Mouse, Charles River, Wilmington, USA). Animals were divided into one control and two experimental groups. In control and first experimental group 15-15 animals were placed; in second experimental group 30 animals were placed and group was divided into two subgroups.

As soon as the tumor was observed (9 to 13 days after injection), the chemotherapeutic agent cisplatin (5 mg/kg, in every 10 days, 3 injections) was injected i.p. in animals of first and second experimental groups (n = 45). Three weeks after tumor cell implantation, cultivated MSCs (1×10^6 cell/100 μL PBS suspension) were administered in second experimental group (n = 30) in two ways. In first subgroup (n=15) MSCs were administrated in tail vein. In second subgroup (n=15) MCSs were injected directly intra-tumorally. In the Cisplatin group, only PBS solution without MSCs intra-tumoral injections were performed (n = 15). In the control group, only PBS solution without Cisplatin treatment and MSCs intra-tumoral injections were performed (n = 15). Animals underwent surveillance for 3 weeks (or until they showed signs of extreme poor health/or died) and afterward were sacrificed. The size of grown orthotopic tumors was measured, and the volume was calculated ($L \times H \times W$).

Tumor tissues were preserved in formaldehyde for further analyses. Paraffin-embedded tissue sections (2-3 μm thick) were deparaffinized in Xylene and rehydrated in progressively decreasing concentrations of ethanol. For tissue morphological assay, hematoxylin-eosin staining was utilized. For specific molecular expression assay, a standardized immunohistochemical staining method was used. After

To establish *in vivo* mouse tumor model were performed in athymic Crl: NU-Foxn1nu (NU/NU) nude mice (Nu/Nu Nude Mouse, CharlesRiver, Wilmington, USA), which are the best laboratory animals in oncology research. Heterozygotes animals from this line do not undergo thymus depended maturation and their immune system is partially compromised. Oral Squamous Cancer Cell line (OSCC) was primarily isolated from human head and neck tumor tissue and were cultivated with standard methodology. Finally, transplantation suspension 1x106 cells in 50 µl PBS was prepared.

In Nu/Nu mice (N=10) under general anesthesia with Isoflurane cell suspension was injected into the buccal submucosal layer of the oral cavity of athymic nude mice using a 26-gauge needle. After 3 weeks, animals were sacrificed. Grown orthotopic tumors and metastasis were measured, photo documented and preserved in formaldehyde for further analyses.

Paraffin-embedded tissue sections (2-3 µm thick) were deparaffinized in Xylene and rehydrated in progressively decreasing concentrations of ethanol. For tissue morphological assay, hematoxylin-eosin staining was utilized. For specific molecular expression assay, a standardized immunohistochemical staining method was used. As primary antibodies, rabbit anti-human epithelial cell antigen, mouse anti-Ki67 (dilution 1:100), rabbit anti-CD31 (1:100), (all from Abcam, Cambridge, UK) were used. After incubation with secondary antibodies, specific protein expression was observed by peroxidase reaction.

Experimental design

Experiments were performed in the squamous cell carcinoma

ცხოველთა ევთანაზიის შემდეგ გამოანგარიშებული იქნა შექმნილი ექსპერიმენტული ქსენოგრაფტული მოდელისათვის პირის ღრუს კიბოს საშუალო მოცულობა (146 მმ³), რომელსაც მან მიაღწია ექსპერიმენტის მიმდინარეობისას 3 კვირიანი ზრდის განმავლობაში.

ცხოველების გაკვეთის შედეგად ასევე შესწავლილი იქნა ორთოტოპიული კიბოს გავრცელება სხვა ორგანოებზე. რვა ინდივიდიდან აღენიშნა კიბოს უჯრედების მაკროსკოპული გავრცელება როგორც მეზობელ ქსოვილებსა და ორგანოებში ასევე ფილტვის (n=1) და ღვიძლის (n=1) ქსოვილებში.

პირის ღრუში განვითარებული სიმსივნის მორფოლოგიური სურათის შესწავლისათვის ნიმუშების შეღებვა განხორციელდა ჰემატოქსილინ-ეოზინის საშუალებით და ჩატარდა მიკროსკოპული ანალიზი. თავდაპირველად შედარებისათვის შევისწავლეთ ჯანმრთელი თაგვის პირის ღრუს (სადაც პირის ღრუს სქუამოზური კიბოს უჯრედების ნაცვლად შეყვანილ იქნა ფიზიოლოგიური ხსნარი) მორფოლოგიური აგებულება. კარგად გამოიკვეთა ქსოვილების შრეობრივი შენების თავისებურებანი და ლორწოვანის და ლორწქვეშა შრეების სტრუქტურული აგებულება. კარგად ვიზუალიზირდა ე.წ. „კერატინული ბუდეები“ და სქუამოზური უჯრედების კუნძულები

სიმსივნური ქსოვილის მორფოლოგიური გამოკვლევისას ნანახი იქნა პირის ღრუს ლორწოვან და ლორწქვეშა შრეებში განვითარებული ინვაზიური კიბო, რომელიც პერიფერიულად ვრცელდებოდა პირის ღრუს ქსოვილის სტრუქტურებში. უშუალოდ სქუამოზური

კიბოს ქსოვილი წარმოდგენილი იყო დაბალ-დიფერენცირებული, პოლიმორფული უჯრედებისაგან შემდგარი ჰომოგენური სტრუქტურის პარენქიმით, რომელიც ხასიათდებოდა "სარკომატოიდური" ზრდის ფორმით და ღრმა ქსოვილების საზღვარზე წარმოქმნიდა შემაერთებელ ქსოვილოვან გარსს - "კაფსულას". ასევე აღსანიშნავია ძლიერი ლოკალური ანთებითი ინფილტრაციები კიბოს ქსოვილის პერიფერიულ ნაწილებში.

ორთოტოპიული და მეტასტაზური კიბოს ვერიფიკაცია

იმისათვის, რომ გადაგვემოწმებინა მორფოლოგიური კვლევით მიღებული შედეგები, განვახორციელეთ პირის ღრუს ორთოტოპიული და მეტასტაზური (ღვიძლი) ქსოვილის იმუნოჰისტოქიმიური (იჰქ) ანალიზი, *Anti-Human Epithelial Cell* ანტისხეულების გამოყენებით. ამ ანტისხეულის შესაბამისი ანტიგენის ექსპრესია აღინიშნება მხოლოდ ადამიანის ეპითელურ უჯრედებში; რადგან ჩვენ მოვახდინეთ ადამიანის ეპითელური (კიბოს) უჯრედების ჩანერგვა თაგვის ორგანიზმში, აღნიშნული ანტისხეულები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც მარკერი ამ უჯრედების აღმოსაჩენად.. ექსპერიმენტმა ნათლად აჩვენა, რომ ინვაზიური კიბოსა და მეტასტაზური ქსოვილის წარმომავლობა ადამიანის უჯრედებს უკავშირდება.

პროლიფერაციული აქტივობის შეფასება

ავთვისებიანი სიმსივნის აგრესიულობის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს მისი უჯრედების პროლიფერაციული აქტივობა, რაც

stem cell transplantation on the development of oral squamous cell carcinoma. Also the efficacy of mesenchymal cell transplantation as adjuvant method in combination with chemotherapy has been evaluated.

Main topics to be defended

Based on conclusion made after analysis and synthesis of research results following main statements are presented to be defended:

- Xenograft model established by us represents morphologic picture of specific tissue lesions as well as creates functional imitation of disease. Model can be used for experimental studies in the field of oral oncology.
- Transplantation of MSCs in oral squamous cell carcinoma tissues with concurrent chemotherapy with Cisplatin attenuates tumor growth. This leads to improved survival rates of experimental animals.
- Improved attenuation activity rate on tumor growth for combined chemotherapy with MSCs transplantation compared with monotherapy with Cisplatin can be explained with increases apoptotic activity in tumor tissues.

Research methodology, methods, materials

In vivo model of oral squamous cell carcinoma

maliginisation processes of oral lesions. According to our research hypothesis our goal was to establish xenograft animal model of oral squamous cell carcinoma and to evaluate in these model transplantation of mesenchymal stem cells as alternative/adjuvant treatment method for oral malignant pathologies.

To achieve the goals of our research we set following objectives:

- To establish standardized model of disease by means of transplantation in laboratory animals human squamous cell carcinoma cells (xenograft animal model).
- Chemotherapy of experimental animals beginning from tumor visualization till euthanasia of animals according to timeframe of experimental protocol. Transplantation of MSCs adjuvant to chemotherapy in tissues adjacent to tumor.
- Evaluation of clinical parameters and life expectancy of experimental animals.
- Morphological and molecular evaluation of obtained tissue specimens.
- Statistical analysis of results.

Importance and novelty of research

- As a result of our research effective xenograft animal model of oral squamous cell carcinoma is established, which is technically feasible and can be successfully used for oncology research.
- For the first time in experiments has been evaluated effect of combination of conventional chemotherapy with mesenchymal

პირდაპირპროპორციულად განსაზღვრავს სიმსივნის ზრდა-გავრცელებას. იმისათვის რომ დაგვედგინა ჩვენს მიერ მოდელირებული პირის ღრუს სქუამოზური კიბოს პროლიფრაციული აქტივობა, იმუნოჰისტოქიმიური მეთოდით შევისწავლეთ Ki67-ის ექსპრესია სიმსივნის ქსოვილში. ცილა Ki67 წარმოადგენს პროლიფერაციულ მარკერს და მისი ექსპრესია წარმოებს მხოლოდ უჯრედის მიტოზურ ფაზაში. აღნიშნულმა ექსპერიმენტმა აჩვენა პირის ღრუს სქუამოზური კიბოს ზომიერი პროლიფერაციული აქტივობა, რაც გამოიხატა მიტოზური უჯრედების ბირთვების ყავისფრად შეღებვით.

პროლიფერაციული აქტივობის ხარისხის შესაფასებლად ჩატარდა იმუნოჰისტოქიმიური მონაცემების კვანტიფიკაცია. თითოეულ ჰისტოლოგიურ პრეპარატზე. მიკროსკოპის ობიექტივის ხედვის არეალში. დათვლილი იქნა შეღებილი უჯრედები ქსოვილის სამი სხვადასხვა შემთხვევითი ადგილიდან, რის შემდეგაც გამოანგარიშებულ იქნა თითოეულ ქსოვილში, შეღებილი უჯრედების საშუალო რაოდენობა ობიექტივის ხედვის ერთ არეალში. საბოლოოდ გამოთვლით მივიღეთ ჩვენი ონკოლოგიური მოდელის ზოგადი პროლიფერაციული სტატუსი რაც საშუალოდ შეადგენს 55,7 ± 4,7 პროლიფერაციულ უჯრედს ობიექტივის ერთ ოპტიკურ არეალში.

პირის ღრუს სქუამოზური კიბოს ვასკულარიზაცია

ნეოვასკულარიზაციის შესაფასებლად გამოვიყენეთ იმუნოჰისტოქიმიური ანალიზი CD 31 საწინააღმდეგო ანტისხეულების მეშვეობით. CD31 წარმოადგენს ენდოთელური უჯრედის მარკერს და შესაბამისად მისი ექსპრესია

აღინიშნება ყველა ტიპის სისხლძარღვებში. ამ კვლევამ აჩვენა სუსტი CD31-ის ექსპრესია უშუალოდ სიმსივნური ქსოვილის პარენქიმაში, რაც მიუთითებს სისხლძარღვოვანი ქსელის სუსტ განვითარებაზე ჩვენს მიერ მოდელირებულ პირის ღრუს სქუამოზური კიბოს ქსოვილში. შედარებისთვის შეგვიძლია ვნახოთ თაგვის პირის ღრუს ჯანმრთელი ლორწოვანის სისხლძარღვოვანი სტრუქტურა

მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების ფენოტიპური ტესტირება

ტრანსპლანტაციამდე განხორციელდა C57BL/6N ხაზის თაგვებიდან მიღებული მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების კულტურის ფენოტიპური ანალიზი ღეროვანი უჯრედების რამდენიმე მნიშნელოვანი მარკერის მიხედვით. გამდინარე ციტომეტრიის, უფრო ზუსტად კი FACS (Fluorescence-activated cell sorting) ანალიზის მეშვეობით ნაჩვენები იქნა რომ უჯრედების აბსოლიტური უმრავლესობა პოზიტიური იყო მეზენქიმური მარკერების მიმართ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე კულტურაში არ გამოვლენილა ჰემოტოპოეტური მარკერების ექსპრესია**ცისპლატინის in vitro**

ზემოქმედება პირის ღრუს კიბოს უჯრედებზე

იმისათვის, რომ განგვესაზღვრა ქიმიოთერაპიული საშუალება ცისპლატინის ეფექტურობა ჩვენს მიერ გამოყენებული კიბოს უჯრედების მიმართ, ჩატარდა in vitro ექსპერიმენტი უჯრედების ვიტალობის და ზრდის დასადგენად. უჯრედების შეღებვამ უჩვენა, რომ უჯრედების მხოლოდ 62% (±2,5%) იყო სიცოცხლისუნარიანი 0,5მკგ/მლ ცისპლატინის ზემოქმედებიდან 24 საათის შემდეგ. 0,25მკგ/მლ ცისპლატინის ინკუბაციიდან 24 საათის შემდეგ პირის

Oral squamous cell carcinoma (OSCC) accounts for 90% of all oral malignancies. It is the 11th most frequent cancers worldwide. In 2018 354 864 new cases were registrated and ¾ of these cases are in developing countries. Conventional treatment for Oral squamous cell carcinoma consists of surgical excision, chemotherapy and radiotherapy. These methods have many adverse effects. Radiotherapy for instance, can cause irreversible damage of salivary glands and jaw bones. Oncotherapy has huge psychological impact on patient. That is why new and improved treatment strategies are required to be developed at tissue, cell, and molecular levels.

Recent studies on animal models have demonstrated MSC migration toward primary and metastatic tumor locations. In recent years, numerous studies have been conducted to investigate the role of MSCs on tumor growth, but reported results are very discrepant. Some studies demonstrated that, when applied locally MSCs interact with the residing host cells. MSCs interplay with immune cells and reduce inflammatory cytokines. According to another studies MSCs directly or indirectly regulate cell proliferation, differentiation, immune tolerance, angiogenesis and metastasis formation. Thus the exact mechanisms of stem cells interaction on tumor tissues is not yet clear and further research is needed.

Research hypothesis, goals and objectives

The aim of our research was to test the hypothesis that mesenchymal stem cells in combination with Cisplatin can affect tumor growth and can improve patients overall condition and life expectancy. We decided to study in experimental animals the role of stem cells in

- პირის ღრუს სქუამოზური კიბოს *in vivo* მოდელში ცისპლატინით თერაპიის ფონზე მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების ინექცია ანელებს სიმსივნის ზრდის პროცესს და ზრდის სიცოცხლის ხანგრძლივობას. მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია რეკომენდაცია გაეწიოს ადამიანებში დამატებითი კვლევების ჩატარებას მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების გამოყენებით კომბინირებული მკურნალობის შედეგების შესაფასებლად.

- ჩვენი კვლევის შედეგებით შეფასებულია ცხოველებში პირის ღრუს კიბოს მართვის პროცესში მხოლოდ კომბინირებული მიდგომის გამოყენება: ქიმიოთერაპია თანმხლები ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცით. აქედან გამომდინარე შემდგომი კვლევებისათვის რეკომენდაციას ვუწევთ ღეროვანი უჯრედების გამოყენებას სიმსივნურ მიკროგარემოში მხოლოდ ქიმიოთერაპიასთან კომბინაციაში.

მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების მონოთერაპიის სახით პირის ღრუს კიბოს მართვაში გამოყენების ეფექტურობის შეფასება დამატებითი კვლევების ჩატარებას საჭიროებს

ღრუს კიბოს უჯრედების სიცოცხლისუნარიანობა განისაზღვრა 78,2±1,8%-ით (ორივე შემთხვევაში P<0,05).

In vitro უჯრედების ზრდის კვლევა განხორციელდა MTT-ექსპერიმენტის მეშვეობით. უჯრედების მიერ გამომუშავებული ფორმაზანის სოლუბილიზაცია განხორციელდა იზოპროპანოლის მეშვეობით. ოპტიკური ხვედრი გაიზომა Elisa reader-ის მეშვეობით. 0,25მკგ/მლ ცისპლატინის ზემოქმედების შედეგად კიბოს უჯრედების ზრდამ 24 საათის შემდეგ შეადგინა 80%, ხოლო 48 საათის შემდეგ 65% 0,5 მკგ/მლ ცისპლატინის ზემოქმედების შედეგად უჯრედების ზრდა განისაზღვრა 68% (24 საათის შემდეგ) და 58% (48 საათის შემდეგ) (P<0,05) .

ექსპერიმენტულ ცხოველთა სიცოცხლის ხანგრძლივობის ანალიზი

საკონტროლო ჯგუფში თაგვების მხოლოდ 40% -ს აღენიშნათ 6 კვირიანი სიცოცხლის ხანგრძლივობა. 2 ცხოველის ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მოხდა მათი ექსპერიმენტიდან უფრო ადრე გამოყვანა. ექსპერიმენტული ცხოველების იმ ჯგუფში სადაც განხორციელდა ცისპლატინის ინექციები, ერთი თაგვი დაიღუპა ქიმიოთერაპიის დაწყებიდან მე-3-ე დღეს, ერთი კი მე-6 კვირას. ცხოველების 60% -მა იცოცხლა 6 კვირის განმავლობაში განსხვავებული სურათი აღინიშნა ქიმიოთერაპიის პარალელურად მღუ-ს სიმსივნურ უბანში შეყვანილი თაგვების ჯგუფში. თხუთმეტივე თაგვის (100%) სიცოცხლის ხანგრძლივობა განისაზღვრა 6 კვირით.

აღნიშნული მონაცემები სტატისტიკურად გაანალიზდა GraphPad Prizm 5- პროგრამის მეშვეობით, კაპლან-მაიერის მეთოდით. მიუხედავად იმისა, რომ შედეგები არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი (შედარებით მცირე მონაცემების გამო), აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია, უკეთესი სიცოცხლის ხანგრძლივობისა იმ ცხოველებში, რომელთა სიმსივნურ ქსოვილშიც მოხდა მღუ-ის ინექცია.

ცხოველის ორგანიზმში ტრანსპლანტირებული ღეროვანი უჯრედების ლოკალიზაციის ბიოლუმინესცენტური ანალიზი

სხვადასხვა გზებით თაგვის ორგანიზმში მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის შემდეგ ინფუზირებული უჯრედების ბიოდისტრიბუციის დადგენის მიზნით ჩატარდა *in vivo* ბიოლუმინესცენტურ ანალიზი. პირის ღრუს კიბოს მქონე თაგვებში, კუდის ვენიდან ტრანსპლანტაციის შემთხვევაში ღეროვანი უჯრედების ლოკალიზაცია სიმსივნის მიდამოში არ გამოვლინდა. სუსტი ლუმინესცენტური სიგნალი აღინიშნა მხოლოდ თირკმელებისა და ფილტვების ლოკალიზაციის ადგილას. ადგილობრივად, სიმსივნური ქსოვილების მიდამოში ინექციის შემდეგ კი ღეროვანი უჯრედები მაღალი კონცენტრაციით ვიზუალიზირდა დაზიანების ადგილას ბიოლუმინესცენტურის ანალიზის შედეგებით დადგინდა, რომ კუდის ვენიდან შეყვანილი ღეროვანი უჯრედების მიზიდვა და თავმოყრა არ აღინიშნა ჩვენი კვლევისათვის საინტერესო მიდამოში, არ მოხდა მათი ჩართვა სიმსივნურ ქსოვილში. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ კვლევა გაგვეგრძელებინა იმ ჯგუფში, სადაც ღეროვანი უჯრედების ინექცია უშუალოდ სიმსივნურ ქსოვილებში განხორციელდა და ბიოლუმინესცენტური

განიცდიან ე.წ. ჰოუმინგს სიმსივნურ ქსოვილში.

- მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების იმპლანტაცია პირის ღრუს სქუამოზური კიბოს ქსოვილში ცისპლატინით მკურნალობის ფონზე, მნიშვნელოვნად ამცირებს სიმსივნის ზომაში ზრდის პროცესს, რის შედეგადაც საგრძნობლად მატულობს ამ ცხოველების სიცოცხლის ხანგრძლივობა.
- მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების იმპლანტაცია სიმსივნურ ქსოვილში მკვეთრად აძლიერებს ანგიოგენეზს, რის შედეგადაც კლებულობს სიმსივნური ქსოვილის ჰიპოქსია.
- ქიმიოთერაპიის და მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების იმპლანტაციის კომბინაციის შედეგად მატულობს კიბოს ქსოვილის აპოპტოზი, რაც განპირობებულია მომატებული ანგიოგენეზის ფონზე ქსოვილში ცისპლატინის უკეთესი დისტრიბუციით.

პრაქტიკული რეკომენდაციები

- ჩვენ მიერ შემუშავებული პირის ღრუს სქუამოზური კიბოს ათიმური თაგვის მოდელი წარმოადგენს აქტუალურ და გამოსადეგ კვლევით მეთოდს. ეს მოდელი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პირის ღრუს ონკოლოგიის მიმართულების კვლევებში.

უჯრედული ციკლის შეჩერებასთან (Krammer P.H., 2000). მიუხედავად გამოქვეყნებული მონაცემებისა, აუცილებლად მიგვაჩნია მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების პროლიფერაციული ინჰიბიტორული ეფექტების მექანიზმების შემდგომი კვლევების ჩატარება.

ჩვენ კვლევაში სხვადასხვა ექსპერიმენტულ ჯგუფებში აპოპტოზის გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ცხოველებში, რომლებსაც მკურნალობა ჩაუტარდათ ცისპლატინი + მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების ინექციით, სიმსივნის ქსოვილებში აპოპტოზის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატებოდა მხოლოდ ცისპლატინით მკურნალობის დროს მიღებულ მაჩვენებლებს. ეს აღმოჩენა ჩვენი მოსაზრებით აიხსნება ცისპლატინის უკეთესად განაწილებით სისხლძარღვთა რაოდენობის გაზრდის გამო.

დასკვნები

- ჩვენ მიერ შექმნილი ქსენოგრაფტული მოდელი ასახავს ქსოვილებში განვითარებული პათოლოგიის მორფოლოგიურ სურათს. ასევე, მისი საშუალებით იქმნება დაავადების ფუნქციური იმიტაცია. მოდელის შექმნის პროცესი ადვილი განსახორციელებელია. მოდელის გამოყენება შესაძლებელია პირის ღრუს კიბოს ექსპერიმენტული კვლევებისათვის.
- თაგვის პირის ღრუში კიბოს არსებობისას, ლოკალურად ინექცირებული მეზენქიმური ღეროვანი უჯრედები ლაგდებიან პათოლოგიურ ქსოვილში. სისტემურად, კუდის ვენიდან ინფუზირებული ღეროვანი უჯრედები კი არ

ანალიზით დადასტურდა მათი ლოკალიზაცია სიმსივნურ ქსოვილში.

კიბოს ქსოვილის ზრდა და გავრცელება ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის შემდეგ

ცხოველებზე ექსპერიმენტული დაკვირვება გაგრძელდა 6 კვირა. ცხოველთა ექსპერიმენტიდან გამოყვანის შემდეგ, ჩატარდა სიმსივნური ქსოვილების ამოკვეთა და მათი გაზომვა. საკონტროლო ჯგუფის თაგვებში ექსპერიმენტის ბოლოს სიმსივნის საშუალო მოცულობამ შეადგინა 172,7±9,03 მმ³. მხოლოდ ცისპლატინით მკურნალობის ჯგუფში ცისპლატინის ინექციის შედეგად სიმსივნის საშუალო მოცულობამ შეადგინა 149,5±12,25 მმ³, ხოლო იმ ჯგუფში სადაც ჩავატარეთ კომბინირებული მკურნალობა ცისპლატინით და მეზენქიმური ღეროვანი უჯრდებით ქიმიოთერაპიის შემდეგ სიმსივნის ქსოვილში ტრანსპლანტირებული მღუ-ს შემდეგ კიბოს ქსოვილის საშუალო მოცულობამ შეადგინა 98,9±7,65 მმ³. ეს მონაცემები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

ცხოველების გაკვეთის შემდეგ ასევე შესწავლილი იქნა ორთოტოპიული კიბოს გავრცელება სხვა ორგანოებზე. საკონტროლო ჯგუფიდან ცხრა თაგვს აღენიშნა კიბოს მეტასტაზური განვითარება ახლო ან/და მოშორებულ ორგანოებზე (60%). ცისპლატინით ნამკურნალებ 6 ლაბორატორიულ ცხოველს დაუდგინდა მაკრომეტასტაზების არსებობა (40%). ხოლო ცისპლატინთან ერთად კიბოს ქსოვილში ინექცირებული მღუ-ის ჯგუფში, ასევე 6 ცხოველში აღინიშნა კიბოს გავრცელებული ზრდა (40%).

ქსოვილების მორფოლოგიური კვლევის შედეგები

სიმსივნური ქსოვილის მორფოლოგიური გამოკვლევისას ნანახი იქნა პირის ღრუს ლორწოვან და ლორწქვეშა შრეებში განვითარებული ინვაზიური კიბო, რომელიც პერიფერიულად ვრცელდებოდა პირის ღრუს ქსოვილის სტრუქტურებში. უშუალოდ სქუამოზური კიბოს ქსოვილი წარმოდგენილი იყო დაბალ-დიფერენცირებული, პოლიმორფულ უჯრედებისგან შემდგარი ჰომოგენური სტრუქტურის პარენქიმით, რომელიც ხასიათდებოდა "სარკომატოიდური" ზრდის ფორმით და ღრმა ქსოვილების საზღვარზე წარმოქმნიდა შემაერთებელ ქსოვილოვან გარსს - "კაფსულას" .

ქიმიოთერაპიული საშუალება ცისპლატინის გამოყენების შედეგად კიბოს ქსოვილის მორფოლოგიური სურათი იყო მსგავსი საკონტროლო ჯგუფის სიმსივნურ სურათთან. რაც შეეხება ცისპლატინით თერაპიის შემდეგ ტრანსპლანტირებული მღუ-ის ჯგუფში, კიბოს ქსოვილის მორფოლოგიური სურათი წარმოდგენილი იყო ნაკლები შემოფარგვლით, ნეკროზული კერების არსებობით და შემაერთებელქსოვილოვანი ბაზალური შრეების არსებობით.

იმისათვის რომ შეგვეფასებინა სიმსივნური ქსოვილის ანგიოგენეზი, ჩატარდა იმუნოჰისტოქიმიური კვლევა ანტი-CD31 ანტისხეულების მეშვეობით. CD31-წარმოადგენს ენდოთელური უჯრედების მარკერს, შესაბამისად შეღებვის ამ მეთოდით დავადგინეთ მიკროსისხლძარღვების არსებობა ქსოვილებში. ამ ექსპერიმენტმა უჩვენა მიკროსისხლძარღვების თითქმის არ არსებობა საკონტროლო და ცისპლატინით ნამკურნალებ ცხოველთა კიბოს ქსოვილებში. მეზენქიმური ღეროვანი

ჩვენ ასევე შევისწავლეთ სიმსივნური ქსოვილების ჰიპოქსიის სტატუსი, რაც მნიშვნელოვანია ტუმოროგენეზში. ინტრა-სიმსივნური ჰიპოქსია ააქტიურებს ჰიპოქსიის ინდუქციურ ფაქტორებს (HIFs) და ამ გზით ხელს უწყობს მეტასტაზურ პროცესს. ჰიპოქსიის კვლევების შედეგებმა აჩვენა კავშირი ჰიპოქსიასა და ანგიოგენეზის სტატუსს შორის: სისხლძარღვთა გაზრდამ გამოიწვია ქსოვილების ჟანგბადით მომარაგების გაუმჯობესება და ჰიპოქსიის სტატუსის დაქვეითება.

მეზენქიმური ღეროვანი უჯრედებისა და სიმსივნური უჯრედების ინტერაქციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ზემოქმედება სიმსივნური უჯრდების აპოპტოზზე. ცნობილია, რომ ნეოპლაზიურ უჯრედებში, რომლებმაც უკვე განიცადეს დნმ-ის დამაზიანებელი ზემოქმედება ადგილი აქვს აპოპტოზის ინდუქციის დათრგუნვას, რაც ზრდის უჯრედის სიცოცხლისუნარიანობას და წარმოქნილი გენეტიკური ცვლილების შენარჩუნების ალბათობას. ავთვისებიან უჯრედებში ციკლის უარყოფითი მარეგულირებლები შედარებით დაბალაქტიურია (ან საერთოდ გამორთული). ერთ-ერთ ბოლო კვლევაში ნაჩვენები იყო, რომ სიმსივნური უჯრედების აპოპტოზური სიკვდილის მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის შემდეგ (Chen, A., 2015). უჯრედული ციკლის ანალიზმა აჩვენა სიმსივნის უჯრედების აკუმულაცია უპირატესად G_0 / G_1 ფაზაში და S ფაზის დაქვეითება. RT-PCR ანალიზმა დაადასტურა უჯრედული ციკლის ცვლილებები. ავტორების მოსაზრებით აპოპტოზი ასოცირდება p21 და კასპაზა 3 გენის ექსპრესიასთან. სხვა ექსპერიმენტული კვლევის შედეგების თანახმად, მღუ-ების ინჰიბიტორული მოქმედება სიმსივნის უჯრედზე შეიძლება ასოცირებული იყოს FasL-ით გამოწვეულ აპოპტოზთან და

შორის ურთიერთქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ სიმსივნური უჯრედების გამრავლების გაზრდა, არამედ ღეროვანი უჯრედების ფენოტიპური ცვლილება და გარდაქმნა უჯრედებად, რომლებიც ხელს უწყობენ ნეოპლასტიკურ უჯრედების ზრდას. ამასთანავე, ამ მოსაზრებების საპირისპიროდ არსებობს მონაცემები რომ ღეროვანი უჯრედების გადანერგვის საპასუხოდ სიმსივნის ზრდა შეიძლება შეფერხდეს უჯრედის ციკლის შეჩერებისა და სიმსივნური უჯრედების აპოპტოზის გააქტივების საშუალებით.

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო შეგვესწავლა მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების მიერ სხვადასხვა პროცესების მასტიმულირებელი ფაქტორების სეკრეციის ხარისხი სიმსივნის მიკროგარემოში.

სხვადასხვა კვლების შედეგები გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ რომ მეზენქიმურ ღეროვან უჯრედებს შეუძლიათ გამოყონ სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც ანგიოგენეზს უწყობენ ხელს. ასევე მათ აქვთ უნარი სპეციფიური ცილების ექსპრესიის გზით ოახდინონ ენდოთელური უჯრედების მობილიზაცია და მათი მიგრაცია დაზიანებული უბნისაკენ. ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ საკვლევ ჯგუფში მიკროანგიოგენეზის მნიშვნელოვანი დონე განაპირობებს ამავე ჯგუფში გამოვლენილ მეტასტაზურ აქტივობას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცისპლატინისა და ცისპლატინს + მღუ ჯგუფებს შორის მეტასტაზურ აქტივობებს შორის სტატისტიკურად მნიშნელოვანი სხვაობა არ გამოვლენილა. მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების ზემოქმედება სიმსივნის მეტასტაზურ აქტივობაზე ჩვენი მოსაზრებით დამატებითი კვლევების ჩატარებას და შესწავლას საჭიროებს.

უჯრედებით ინექცირებულ ცხოველებში იმუნოჰისტოქიმიურმა კვლევამ დადგინდა სიმსივნურ ქსოვილში ძლიერად განვითარებული სისხლძარღვოვანი სტრუქტურები. ჩატარდა ასევე ვასკულარიზაციის ხარისხის შეფასება და სტატისტიკურად შედარება სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

კიბოს ქსოვილის ვასკულარიზაციის შესწავლის შემდეგ, შევეცადეთ დაგვედგინა იმავე ქსოვილის ჰიპოქსიური სტატუსი. ანტი-კარბონიკ ანჰიდრაზა-9 ანტისხეულების გამოყენებით იმუნოჰისტოქიმიურმა კვლევამ დაადგინა კიბოს ქსოვილის ძლიერი ჰიპოქსიური მდგომარეობა საკონტროლო ჯგუფში. ანალოგიური სურათი იქნა ნანახი ცისპლატინით ნამკურნალები ცხოველების კიბოს ქსოვილში, სადაც ასევე ძლიერი ჰიპოქსია იყო გამოხატული. რაც შეეხება კიბოს ქსოვილს მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის შემდეგ, გამოვლინდა სიმსივნური პარენქიმის მინიმალური ჰიპოქსიურობა, რომელიც წარმოდგენილი იყო ქსოვილში მცირე კუნძულების სახით. ჩატარდა ასევე ჰიპოქსიის სტატუსის საშუალო მაჩვენებლების შედარება ჯგუფებს შორის. აღნიშნული კვლევებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ კიბოს ქსოვილის ჰიპოქსიურობა შეუღლებულია ამავე ქსოვილების ანგიოგენეზურ სტატუსთან.

Tunnel -ის კვლევის შედეგად გამოვლინდა კიბოს ქსოვილის უჯრედების დაბალი (ან არ არსებობდა) აპოპტოზური აქტივობა საკონტროლო ჯგუფში ქიმიოთერაპიის შედეგად (ცისპლატინი) ლაბორატორიულ თაგვებში განვითარებულ კიბოს ქსოვილში, აპოპტოზური უჯრედები მეტად იყვნენ წარმოდგენილნი ვიდრე

საკონტროლო ჯგუფში. საინტერესოა, რომ კომბინირებული: მღუ-ს ტრანსპლანტაციის და ცისპლატინის ინექციის შემდეგ, ცხოველის პირის ღრუში განვითარებული კიბოს ქსოვილის უდიდესი ნაწილი წარმოდგენილი იყო აპოპტოზური უჯრედებით. სიცოცხლისუნარიანი უჯრედების ერთობლიობა ქსოვილის მასაში გამოსახული იყო მცირე უბნების/"კუნძულების" სახით. ნეკროზული უბნები ქმნიდნენ „ბნელ" მიდამოს, სადაც არ ვლინდებოდა არც აპოპტოზური უჯრედის (მწვანე) და არც სიცოცხლისუნარიანი უჯრედის (ლურჯი) ფლუორესცენციული სიგნალი.

თანამედროვე ტრანსლაციურ მედიცინაში, სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება კვლევები მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების გავლენის შესახებ *in vitro* და *in vivo* სიმსივნის ზრდაზე მღუ–ების გამოყენების გრძელვადიანი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ონკოლოგიური კვლევებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების ზეგავლენის დადგენა სიმსივნის ზრდის პროცესზე. ლიტერატურაში აღწერილია უამრავი *in vivo* კვლევა, რომელთა მიზანი იყო მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების მოქმედების ეფექტურობის დადგენა სხვადასხვა დაავადების მიმდინარეობაზე როგორც ექსპერიმენტულ ცხოველებში, ისე ადამიანებში. სხვადასხვა კვლევებში მიღებული შედეგები წინააღმდეგობრივია.

სხვადასხვა კვლევებმა ურთიერთსაპირისპირო შედეგები აჩვენა მღუ-ების გავლენის შესახებ სიმსივნის ზრდაზე. ზოგიერთი ბოლოდროინდელი ექსპერიმენტის შედეგების თანახმად, მღუ–ები უფრო მეტად ხელს უწყობენ სიმსივნის

პროგრესირებას და მეტასტაზირებას. ამის საპირისპიროდ, ცხოველებში ჩატარებულმა სხვა კვლევებმა აჩვენა, რომ მღუ-ების ინექციის შემდეგ, სიმსივნის წარმოქმნის დრო გახანგრძლივდა და სიმსივნის ზომა უფრო მცირე იყო, შემცირდა უჯრედების გამრავლება, გაიზარდა აპოპტოზი. ექსპერიმენტების შედეგებთან შედარებით, ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ექსპერიმენტულ ჯგუფებში, სადაც მღუ ინექცია განხორციელდა პირის ღრუს კიბოს ქსოვილებში ცისპლატინით თერაპიასთან ერთად, სიმსივნის ზრდის სიჩქარის დაქვეითება და მისი სისტემური გავრცელების შემცირება დაფიქსირდა. ამ მოვლენამ გამოიწვია ექსპერიმენტული ცხოველების საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლის გაუმჯობესება.

ღეროვანი უჯრედები აქტიურად ზემოქმედებენ მიკროგარემოშზე ციტოკინების, ზრდის ფაქტორების და უჯრედუჯრედული მატრიქსის (ECM) მოლეკულების გამოყოფის გზით, რომლებიც მოქმედებენ ან თვითონ ღეროვან უჯრედებზე (აუტოკრინული მოქმედებები), ან მეზობელ უჯრედებზე (პარაკრინული მოქმედებები). ამიტომ, ღეროვანი და პროგენიტორული უჯრედების ბიომოლეკულების წარმოების უფრო ნათლად გააზრებამ შეიძლება ახალი შეხედულებები ჩამოაყალიბოს უჯრედის ფენოტიპების რეგულირების შესახებ, უკეთ განსაზღვროს ღეროვანი უჯრედების ფუნქციური როლი ქსოვილებში მიმდინარე პათოლოგიურ პროცესებში და საბოლოოდ განსაზღვროს შესაბამისი უჯრედის წყაროები სპეციფიკური ქსოვილის რეგენერაციისთვის. დღეისათვის გაჩნდა ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები, რომლებიც მღუ-სა და ხსნადი ფაქტორების არსებობისას აჩვენებს ინ ვიტრო და ინ ვივო სიმსივნის უჯრედების პროლიფერაციის გაზრდას, შემცირებას და უცვლელობას. ღეროვან უჯრედებსა და ავთვისებიან უჯრედებს